შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/85

თბილისი **“ 28 “ ნოემბერი 2017 წ.**

ფაკულტეტის საბჭოს არჩევნების გამოცხადების შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე–9 მუხლის, გთსუ–ის წესდების მე–5 მუხლის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის 28 ნოემბერს გამოცხადდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს არჩევნები.
2. არჩევნების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოში არჩეული იქნება 5 აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი; ფაკულტეტზე არსებული თითოეული კათედრიდან არჩეულ იქნას 1 წარმომადგენელი.
3. კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ნებისმიერ წევრს.
4. კონკურსის მონაწილეების რეგისტრაცია იწარმოოს 2017 წლის 28 ნოემბრიდან 2017 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით ყოველდღიურად შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 16 საათამდე. არჩევნები ჩატარდეს და შედეგები დამტკიცდეს 2017 წლის 14 დეკემბერს.
5. არჩევნების ჩასატარებლად შეიქმანს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ლელა კოჭლამაზაშვილი – ბიზნესის მართვის კათედრის ასოც. პროფესორი

   ლაურა კუტუბიძე - ჟურნალისტიკის კათედრის ასოც. პროფესორი

   მაია მიქელაძე - ინფორმატიკის კათედრის ასოც. პროფესორი

   დავით კალანდარიშვილი - ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრის ასოც. პროფესორი

   თამარ ფანცულაია - საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ასოც. პროფესორი

ნოდარ ბაგრატიონი - ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრის პროფესორი

ტასო გეთაშვილი - ბიზნესის მართვის, ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრების სპეციალისტი

6. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
7. ეთხოვოს სტუდენტთა თვითმმართველობას აირჩიონ ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში 4 სტუდენტი წევრი.
8. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
9. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

რექტორი **გიორგი მათიაშვილი**